ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6741489

ნომერი: AR1988822

თარიღი : 13.09.2023

გაცემის თარიღი : 02.11.2023

გაცნობის თარიღი : 08.01.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის , გზატკეცილი , N 44 , (ნაკვეთი N12/49);

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე ურუშაძე პ/ნ 01008050556
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 12 ბ. 18

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 2611250 (#136; 13.05.2016წ)
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 23.12.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავლბინიანი საცხოვრებელი სახლი (მეოთხე სექტორი)(4 სექტორი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კონსტანტინე ურუშაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "მადანი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406035455

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ომარ მახარაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01029007389

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1183.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 519.46
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 7122.12
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 4663.81
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 614.57
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 923.97
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 178.82
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 740.95
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 5552.57
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1752.57
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3800.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 43.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 39.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1=519.46/1181=04
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2=6596.04/1182=5.6
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 192.81/1182=0.2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 4861058
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 14.02.2020

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 4920680
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 3.04.2020

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
01. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის ამსახველი უახლესი ფოტომასალა თარიღის მითითებით. ინტერაქტიული რუკის მიხედვით სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, წარმოადგინეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
02. წარმოადგინეთ კორექტირებული პროექტის შესაბამისი, განახლებული სატრანსპორტო სქემები შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული სახით.
03. არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის

უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: წარმოადგინეთ კორექტირებული პროექტის შესაბამისი საექსპერტო შეფასება და კორექტირებული ნაწილი მოყვანილ იქნას აღნიშნულ დადგენილებებთან ურთიერთ შესაბამისობაში. ავტოსადგომების სართულზე დაიტანეთ ყველა საჭირო მანძილი, ნიშნულები პანდუსების ყველა გარდამტეხ ნაწილებში და წარმოადგინეთ ყველა შესაბამისი დეტალი ზომებისა და ნიშნულების დატანით. ავტოსადგომებზე ასახეთ ავტომობილების მიმოსვლის სქემა.
04. გაცნობებთ, რომ სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და საკითხი განსახილველად გადაიგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში N 60-01233063008, პასუხი გეცნობებათ დანართის სახით.
არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.